

ესი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: პირველი სტრიქონი „პეტრიტი“ პირველ გვერდზე—10 კ. მეორეზე—5 კაპ.
სა-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ქ. № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა წმინანთ-ისკეში (ქვეშევთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუხოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Днище-Пурцели“—„Моამბე“. ტელეფონი № 372.

მათს, 24 მარტს, საფულ რიონში იქნება **ორმოცის წიგნა და პანაშვიდი** უღროვოდ მიცვალებულის
ნინო სვიმონის ასულის მესხის
სულის მოსახსენებლად. (2—2)

„მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“
ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარე მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ ღირსის მცხოვრებთათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მოწერითათვის, ჯუღილის ხელის მოწერითათვის 5 მანეთი. შედეგ, აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს 2 მანეთი.

„ცნობის ფურცელი“ (ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წელიწადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.)

საუკეთესო აბრეშუმის ქვის თესლი
მოიკითხეთ ქ. ბათუმში, მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში. ფასი სომიერია. (15—7)

ტფილისის კერძო ამკურნალო
პატარა ღირსის გამაჯანმჯობელისა.
თუ გეზი იღებენ უოჯელ დღე, კვირა უქმების კარდა,
და იღებენ:
1. შიგინასე — კბილის სნეულებანი 8 — საათამდე.
2. გუდონიშვილი — ნერვების და ელექტრისით — 9 — 10 ს.
3. მუღინი — შურისა, ეფლისა და ცხვირის — 11 — 12 საათამდე.
4. ხსელაშვილი — კბილის სნეულებანი — 2 საათამდე.
5. შატალიანი — თვალისა 11 — 12 ს.
6. შიგინასე — ბაქრადე-ბაგუბისა 11 — 12 ს.
7. გუდონიშვილი — ნერვების და შინა-12 — 1 საათამდე.
8. შატალიანი — სადსტაქრა — 12 1/2 საათამდე, სამშობობით 3 — 4 საათამდე.
9. ბეგთაშვილი — სიფილისისა, კანისა და ღრისა — 1 1/2 — 2 საათამდე.
10. ბეზარაშვილი — შინაგანი და ბაგუბისა — 2 საათამდე.
და იღებენ:
1. თუმანიშვილი — დედათა სნეულებანი — 6 საათამდე.
2. ბეგთაშვილი — შინაგანი (სტრამპის) და შიგინასე-ქიმიური გამოკვლევა — 5 — 6 საათზე.
3. შატალიანი — გვირგვინით — 10 — 12 ს.
4. შატალიანი — აქვს საწილი ოთახებში.
5. შატალიანი და დარბაზისა 50 კ.; ობუნი — მორბეობით. კრატი 4 მან. დღე და 10. ერთი კრატი დარბაზთათვის უფასოა.
6. შატალიანი, ნიკოლაძის ქუჩა, სახლი ნიკოლაძისა, № 21 (გარანტორის ქუჩის პირდაპირ). ტელეფონი № 274. (წდ.)

სამართო მოქმედების ნიადაგი.
ჩვენი საზოგადოება ჯგუფებათ დაიყო. რასაკვირველია, ამ ჯგუფების დაბადებას თავისი საძირკველი თვით საზოგადოებაში, ხალხის მატერიალურ ცხოვრებაშივე აქვს. მიწის მფლობელი და მიწის მომქმედი, მრეწველი, ვაჭარი და დღიური მუშა ერთი ერთმანეთის ეკონომიურ წინააღმდეგობაში სცხოვრობენ. ამას ვერ უფარ-ვყოფთ. მხრ-ლოდ, ამისდა მიუხედავად, ჩვენსავე საზოგადოებაში იმგვარი მოვლენანიც არსებობენ, რომელნიც არამც თუ ასუსტებენ ამ წინააღმდეგობას, არამედ ჰბადავენ ნიადაგს მოკამათე ჯგუფების საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის. ეს მოვლენანი გვასწავლიან, რომ საქართველო იმ ისტორიულ ხანაში ჩადგა, როდესაც საზოგადოების და ხალხის დაყოფა და დაქუცმაცება კი არ გვესატირობდა, არამედ იმისი გამოთლ-ება და გაერთება.
ჩვენ გვსურს დავასახელოდ სამი უმთავრესი კითხვა ჩვენის ცხოვრებისა, რომლის გარკვევაში ჩვენს მოპირდაპირე დასებს საერთო მოქმედება შეუძლიანთ. ჩვენ სახე-ში გვაქვს: ა) ქართულ ენის დაცვა ბ) ქარ-თულ ვაჭრობა მრეწველობის შექმნა და გ) ქართულ მეურნეობის ქართველთა ხელ-ში შერჩენა.
ჩვენ აქ ბანალურ აზრების გამოვრე-ბას არ შეუდგებით იმის შესახებ, რომ სამ-შობლო ენა გონების წარმატების აუცი-ლებელი პირობაა და რომ სამშობლო ენის დაქარგვასთან ხალხს ეკარგება საქირა ორ-განო გრძნობების და იდეების გამოთქმისა-თვის. არც იმას ვიტყვით, რომ სამშობლო ენის დაქარგვასთან ხალხს სიცოცხლე აკლ-დება, ცხოვრება ფერს და სისრულეს ჰკარ-გავს და რომ ამგვარ საზოგადოებაში მეც-ნიერებას და ხელოვნებას ადგილი არა აქვთ, რადგან მეცნიერება მოითხოვს აზროვნო-ბის მოძრაობას, ხელოვნება კი გრძნობე-ბის და საზოგადოთ შინაგან ცხოვრების განვითარებას, უნოთ კი ყველა ეს იხუ-თება. ჩვენ მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ დროა რამე პრაქტიკული ღონისძიება

შევიშუშაოთ, რათა გადავარჩინოთ სიკვ-დილს სამშობლო ენა და ამასთან ერთად მთელი ჩვენი ეროვნული ხასიათი.
თუ მართლა ჩვენს საზოგადოებაში სამი დასი არსებობს, აი ის პირველი კითხვა, რომელიც უნდა აერთებდეს ამ დასებს და რომლის განმარტებაში არც „დიდიქტიურ პროცესს“ აქვს ადგილი და არც „ეკონო-მიურ მატერიალიზმს“.
მეორე კითხვა, არა ნაკლებად რთული და მნიშვნელოვანი, ჰართუვ ვაჭრობა-მრეწვე-ლობის შექმნის წარმატების კითხვაა. ბევრსა ჰგონია ჩვენში, რომ აი სწორედ ეს კითხ-ვა ის, რომელმაც აუცილებლად ჩვენი სა-ზოგადოება მოპირდაპირე ჯგუფებად უნდა დაჰყო. და ეს დასკვნა უფრო იქიდან გა-მოჰყავთ, რომ სხვა ქვეყნებში სწორედ ამ ნიადაგზე თავს იჩენს კლასთა ბრძოლა. ჩვენ-ნის აზრით კი კაპიტალიზმის ზრდა-განვი-თარებამ საქართველოში, თანამედროვე პი-რობებში, ნაცოხანაურა მიმართულება უნდა მიიღოს. საქართველოს ეკონომიური წარ-მატება—ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გამარ-ვლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებ-ში—კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნ-და ჩითვალოს, არამედ აუცილებელ პირო-ბად ჩვენის ხალხის ნაციონალურ აღორძი-ნებისა. ქართველი კაპიტალისტი*), ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველს მუშას კი არ უნდა დაუპირდაპიროთ, არამედ იმ უც-ხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს ადგილ-მცემობის მონაპოვია. ქარ-თველი მუშა, ასეთ-ამწყობია იგი, თერძი, მე-ჩემე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნული აზ-რით უნდა იყოს გამსჭვალული. მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი მატერია-ლური მდგომარეობა რადგანაც ნაციონა-ლურის იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო ინტერესები საერთო ინტერე-სებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკი-ოს თავის საზოგადო თვით-ცნობაერების სი-მწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საქირო-ნი არიან, რადგანაც უფულოდ ჩვენ ვერ ვაჭარმოვებთ ჩვენის ქვეყნის სიმდიდრეს, რად-გან უფულოდ ჩვენ ვერ ვახეივებთ ვერავითარს ქართულს საზოგადო საქმეს—თეატრია იგი, წერა-კითხვის საზოგადოება თუ გამოცე-მელი საზოგადოება. ჩვენთვის საქირო არის ქალაქებში შეგროვილი და გამრავლებული ქართველი მუშა-ხალხი, რომელიც შექმნის ნიადაგს ჩვენის ერის ეკონომიურ ევოლიუ-ციისათვის.
მესამე კითხვა ამავე ხასიათისაა. ქართული მიწისმფლობელობა ამ ეამად დიდ განსაცდელ-შია. ჩვენი თავდა-ზნაურობა, რომელიც მი-წად-მფლობელი წოდება იყო ჩვენში, თანდა-თან თავის მამულებს ჰკარგავს. ჩვენი ბანკები, მიწად-მფლობელობის სასარგებლოდ დაარ-სებულნი, იმის მტრად გადაიქცნენ, რადგან მამულების გაყიდვის პროცესი დააჩქარეს. ფული, გამოღებული მამულის გირაოთი და არ მოხმარებული მამულის საქირობისა-თვის, სწორედ ის უღმობელი, დამარღვე-ველი ძალაა, რომელმაც წოდებრივ მიწად-მფლობელობას საქართველოში ბოლო მო-

უღო. მხოლოდ კითხვა იბადება, ვის უნდა ჩაუყარდეს ხელში ის მამულები, რომელნიც ჩვენს თავდა-ზნაურობას ეკარგება? იქნება ჩვენ იმის ცდაში უნდა ვიყოთ, რომ დავე-ხმაროთ თავდა-ზნაურობას და რამე ღონი-სძიება ვიხმაროთ, რომ შეუჩინოთ მამუ-ლი და თავისი წოდებრივი ხასიათი? ჩვენის აზრით, ძალიანაც რომ გვედგონოდა თავდა-ზნაურობის აღდგენა, იგი უკვე წარსულს ეკუთვნის და მისი წოდებრივი აღორძინება შეუძლებელია. მიწათ-მფლობელობა მხო-ლოდ იმათ შერჩებათ, ვინც მამულს ფუ-ლით ახეივებს, ე. ი. ვინც მრეწველობის გზას შეუდგება. და რადგან ჩვენს თავდა-ზნაურობაში ამ იარაღით შეიარაღებულნი პირნი ძალიან ცოტანი არიან, ამიტომ იმ კითხვამ, თუ ვის ხელში დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა ჩავვაფიქ-როს და ავგაცილოს ის შეცდობა, რომელ-შიაც ადვილად გავებმებით, თუ ამ მოვლენ-ას დოკტრინის თვლით შევხედეთ. ჩვენის აზრით, ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა მოვანახოთ, რომ გასაყიდი მამულები ან ქარ-თველმა გლეხკაცებმა შეისყიდოს, ან კიდევ ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგა-დოთ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირობებთან ეკონომიურ ბრძოლისათვის. ასე რომ მესამე პრაქტიკული კითხვა, ჩვენ ცხოვრებაში წამოყენებული, კითხვაა, რომ-ლის განმარტებაშიაც ჩვენი შეერთებული ძალაა საქირო, კითხვაა ქართულ მიწათ-მფლო-ბელობის და ქართულ მიწად-მამულებობის დაცვისა.
შეიძლება ბევრი არ დაგვეთანხმოს იმაში, რომ ამ სამ კითხვათა გარკვევაში შესაძლე-ბელი ყოფილიყოს ჩვენი დასების საერთო მოქმედება. იქნება ჩვენ საზოგადოებაში იმისთანანიც გამოჩნდნენ, რომელთაც არა-ფრად მიჩნდეთ ქართული ენის დაქარგვა. ქართული ლიტერატურა ღარიბი არის, იგი არ აკმაყოფილებს განვითარებულ მკით-ხველს. ქართული ენა პრაქტიკულადაც საქირო არ არის, რადგან არავითარი სქმე ქართულ ენის საშუალებით არ გაკეთდება, იტყვიან ისინი. ყველა ამაზე ერთი პასუხია. თუ ჩვენ გვსურს და ძალ-გვიძს სიცოცხლე, ჩვენ გავამდიდრებთ ქართულ ცხოვრებას და ლიტერატურას, ჩვენ შევქმნით ქართულ საქმეებს და თუ სიცოცხლე არა გვსურს, მაშინ, რასაკვირველია, დღეს ხვალ ვახრ-წნილ გვამათ გადავიქცევით და ყველა, რაც შეადგენს ჩვენს ვინაობას, ჩვენს სულს, გა-ჰქრება და განქარება. მხოლოდ ქართული ერი სიკვდილს არ აპირებს. და თუ მაინც და მაინც ჩვენ ინტელიგენციას და თავდა-ზნაურობას საუკუნო განსვენებაში წასვლა ჰსურს, ქართველ ხალხს, პირიქით, სიცო-ცხლის უნარი და მხნეობა ეტყობა. ყველა ეს კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ.
მეორის მხრით, შესაძლებელია, ქართულ კაპიტალიზმის და ქართულ მეურნეობის კითხვის გარკვევამაც ჩვენ დასთა შორის უთანხმოება და განხეთქილება გამოიწვიოს. რათა ჩვენი აზრი ამ საგანზე უფრო ნა-თელი და მკაფიო გამოჩნდეს, ვიტყვით, ნაწმალურ პირობებში ამ კითხვების გან-მარტავს ნორმალურია, ე. ი. ეკონომიურ მოვლენათა გამოსარკვევად ეკონომიური კრიტერიუმი საქირო. საფრანგეთის კაპი-ტალისტთა და მუშათა შორის განხეთქი-ლება მაშინ მოიხსობა, როდესაც შრომის

*) დიდს შიშით ვხმარობთ ამ სიტყვას—ისე ცო-ტანი არიან ჩვენში ისინი, ვისაც კაპიტალისტებს ეძახიან.

და კაპიტალის წინააღმდეგობა გაპქრება. ინგლისის ლენდ-ლორდებს, ფერმერებსა და სოფლის მუშათა შორის თანხმობის ჩამოყარება და მოკიდებულია წმინდა ეკონომიურ მიწ-მფლობელობის ფორმათა შეცვლაზე. ეკონომიურ ანტიკონსერვატივად ამ ერთა ცხოვრებაში ნაციონალურ პრინციპს არავითარი ადგილი არ უჭირავს. სულ სხვაა ჩვენს პირობებში აღძრულ ეკონომიურ კითხვების განმარტება.

ჩვენი საზოგადოება, შედის-რა სულიერ და ეკონომიურ წარმატებაში, ჰკარგავს თავის ერთგვარობას. სოფელი, რომელსაც ეკონომიური ევოლუცია ამოძრავებს, ჰხადავს არა მარტო მიწის-მომქმედს, არამედ ხელოსანს: ლურჯალს, მქედელს, მკრამიტს და სხ., სოფელი ჰქმნის ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს, რომელთა შემოღობვისათვის და გასასაღებად ჩნდებიან საქირო აგენტები—მრეწველები და ვაჭრები. ვაჭრები და მრეწველები უმეტეს შემთხვევაში თავიანთ საქმეებს ქალაქებში აწარმოებენ, რის გამოც ქალაქების მცხოვრებთაც მრავალგვარი პროფესიები ებადებათ. თანამედროვე ცხოვრებაში აუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ დაქვეითებულ ერს თავისი საკუთარი აგენტები ჰქვანდეს ყველა ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. სალი ერის ზრდა, იმისი სიმძლავრე ვიწროდ არის დაკავშირებული იმასე, რომ მრავალგვარი იმისი მოთხოვნილებანი თვით ერის საშუალებებითვე იყენებ დაკმაყოფილებულნი. რაც ჩვენ შეგვიძლება, მაგას მოითხოვს არა ნაციონალური ეგოიზმი, არამედ დალახებული სიმართლე და ერთა შორის დამოკიდებულობის ნაცვლად თანასწორობის გამტკიცება. ნაციონალური ცხოვრების გამაგრება საჭიროა თვით ეკონომიურ წარმატების გამტკიცებისათვის.

ჩვენ აქ მოკლედ აღვნიშნეთ სამი კითხვა, რომლის ასხნა, თუ გვროვანი ყურადღება იქნა მათზე მიტყული, თან-და-თან გზას გაგვიკადვებს და მოგვიზადებს ნიადაგს საერთო პრაქტიკულ მოქმედებისათვის.

ახალი ჯარჯაძე.

დეკრები

(„რუსეთის დემოკრატიული საზოგადოება“)

19 მარტი.

ამბარბურბი. 18 მარტს მოვიდა საგანგებო დესპანი ჰერცოგი ებერკორნი, გენერალი არჩბალდ გუტენერი, პოლკოვნიკი კინტორა, კაპიტანი მარკიზი გამილტონი და ჟოზე კლერიკი, რათა აუწყონ რუსეთის სასახლეს მეფე ელუარდ VII-ის ტახტზე ასვლა.

კონსტანტინოპოლი. დილას მიწის ძვრა იყო, რომელმაც რამდენიმე წუთს გასტანა. დოღმ-ბახში ყურბან ბაირანის გამო ხელზე მოხვედრის ცერემონია იყო; ცერემონია შესწყდა, მაგრამ სულთანი მალე გამოერკვა და ვასცა ბრძანება განეგრძოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა მრავალი გამოვიდნენ ტაძრიდან.

სოფია. სამხედრო მინისტრმა ვასცა ბრძანება, რომლითაც ნამდვილ სამსახურში მყოფ ოფიცრებს აღკრძალული აქვთ მაკედონიის კომიტეტს მიემხრონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჯიშვილი მოესპობათ და სამსახურიდან დათხოვნილი იქნებიან; რამდენიმე ოფიცერი, რომელნიც, მიუხედავად ამისა, განკარგულებისა, მაინც მიემხრნენ კომიტეტს, დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან; სამოქალაქო მმართველობაც აპირებს ასეთის ბრძანების გაცემას სამოქალაქო მოხელეთა შესახებ.

ლონდონი. სოლსბერი უკედ არის.

სოფია. რადგანაც მაკედონიის პროვინციის კომიტეტმა პროტესტი განაცხადა კონგრესის გადაღების წინააღმდეგ, 22 მარტს შეიკრიბება კონგრესი.

(ინილუ ხალხის დემოკრატია მე-4 გვერდზე)

ეკონომიკური-გაზეთებიდან

გაზ. ცვლინებისა სიტუაციით, ამ დღეებში მაკედონიის კომიტეტს დემონსტრაციის მოუხდენია სოფლის. მრავალმა ხალხმა დიდებული პროტესტით გაიარა ქალაქის ქუჩებზე; წინ მიჰქონდათ წითელი დროშა ზედ წარწერით: «სიკვდილი, ახუ თავისუფლება». ხალხი გემართავს მისდების მიერ დასჯილ ბოლშევიკთა მტრობით ლეკვის ძეგლისაკენ. ამ ძეგლის წინ მაკედონიის უმთავრესი კომიტეტის თავმჯდომარე სარაფოვი შედეგი სიტუაციის წარმოქმნა: აგრების კონგრესი რეფორმების დაგვიანდა, ხოლო ევროპამ მოგვარება; ეს დაბრუნებული რეფორმები დღევანდლად არ შეუსრულებია. კანტონი ხშირად ატულებს ერთმანეთს, მაგრამ დიდი სხეულმყოფების კრების მიერ დახატული ერთი მოტყუება კი—ჯერ გუგონარი ამბავია და ამიტომ ჩვენ ის იმედი-და დაგვრჩენია, რომ ჩვენ თავს ჩვენი უმჯობესობით, და ახლაც მოგვიზადნეთ, რომ ჩვენი უფლება იარაღით მოვიპოვოთ.

ხორვატული გაზ. თბორში ამ წინააღმდეგობით მსგავსი მსგავსი მდგომარეობა:

ამ უბედური ქვეყნის ხალხს არსადაც არ აქვს შეგების და შემწობის იმედი. დიდი მტრებს, რომლებიც დიდი ხანია დაურუბულნი არიან, — სხვის ტანჯვა არ ესმით; ისინი არავითარ ურადლებას არ აქცევენ ამ ერის საცლადობას. რა საშინელება არ ხდება ამ უბედურ ქვეყანაში! ქრისტიანის ცხოვრება მაკედონიის უბედურ დღეს, უფრო წამს მხოლოდ ერთ ბეჭედად ჰქვია. ის არსადღეს არაა დარწმუნებული, რომ ხვალე ან თითონ, ანუ მისი ცოლი და ქალები მისდების ძალ-მომრეობის მსხვერპლად არ შეიქმნებიან. და აბა როგორ იქცევიან ევროპის ქრისტიანი ერები? ერთჯერ მაინც ამოიღეს მძღვრად ხმა, რომ სუგუნობათ დატანჯულებს ადამიანის რაიმე უფლება მიეცეთ? არა, ისინი ჩუმად არიან, მაგრამ უბედური მაკედონიის შეილებსაც შეუძლიან განა ჩუმად უფლებს? განა შეუძლიან გაჩუმება ისინი, ვინც მაკედონიის ერთი სისხლი და ხორცი არიან? განა შეუძლიან სამთავროს ბოღკანს გულგრილად უდგინონ დახატულ და დამირებული მაკედონელი ბოლშევიკი? არ შეუძლიან, არა. მაკედონიის ეხლანდელი მდგომარეობა მართლაც დასაშინებელია. ვინც კი თავის დარდს და გვაბს გამოსტყვავს, იმან ნამდვილად იცის, რომ მისი სხლი ხვალე ნაცრად იქცევა; თუ ვინმე გაბედავს თავის თავის დარდს და გერ მთასწრობს დროზე მთაში გაქცევას, — ის უსათუოდ წუთი-სოფელს უნდა გამოესამოს ამის შესახებ ბევრის თქმა შეუძლიან გატყუდ მისდურ ცხელებს, მაკედონელ, როგორცდა სოფლის ცხე ადიკული (ჯარჯოხეთის ცხე). ვინც ამ ცხელებში 48 საათს გაატარებს, ის გულად ედარება მზის დახსვას! მისდების მსჯელები უხსნალებს დიდი სხეულმყოფების წარმომადგენლებს, რომ ამ წინააღმდეგობა ახანელებზეა მართლ მსჯელების შიშით დემონსტრაციის თავიანთი ცნობილი სულია. ახ სრული სურათი მაკედონიის თავსარ დემოკრატია, სამხედრო მდგომარეობის: «მამა სახრჩობელაზე ჰქვია, დედა მარკიზება მამული, ფეხ ქვეშ ტყველი აქვთ განილი; გარემოთა ჩვენს ზღვრილი ბადეები; ერთს ხელება და ფეხები აქვს დახეხილი და მორე მარკიზება აკუბული; ყველას ამათ გარს სხვევან სულთანის (ხონტის) ერთგული მსახური; ესენი გქვია ჩიბუხებით სელში უფურებენ ამ ციხის, რაც მისდურად ჰქვია მისდურულ წარმომადგენსა.

ამ მოკლე ხანში მაკედონიის კომიტეტის თავმჯდომარე უნდა ამოიჩინოს. ამის შესახებ გერმანული გაზ. «კელნ. ცენტრის» კონგრეს-მხარეტი იწერება, რომ სოფიაში ამ თანამდებობაზე კანდიდატად იარჩიეს გაბედავი და შეუარებელი სარაფოვი, თუმცა კი იარაღი ბოლშევიკი წინააღმდეგ იუვენს ამ არჩევნისათ. ირწმუნებიან, რომ სხვა ქალაქებშიც ამ სარაფოვის აარჩევნა. ამიტომაც, ამბობს კონგრეს-მხარეტი, მაკედონიის კონგრესი, რომელიც 31 მარტს უნდა შეიკროს, ბევრს უსამოხებებს გაუხენს ბოლშევიკის მთავრობისათ.

ასევე ზღაფი მისდობა დასის გასეთი მისდობა ძირეულ სწუხს ამ ამბების გამო, რომელიც ამ ჟამად მაკედონიის ხდება. ეს გაზეთი ამბობს, რომ იქ ისევე ის ამბები ხდება ესა, რაც მითხად ფაშის გენერალ ბუბრანტრობის დროს ხდებოდა რუს-მისდობის წინააღმდეგ. ბოლშევიკებს არ ეშინიანთ სიკვდილის; სიკვდილის შიში არ დასშევსებთ იმათ ერთხელ აჩუქეს გაზეთ სარაფულს სასურველ მისდობის მისდღევე. იმ რეფორმებს, რომლებსაც ისინი თხოულობენ, იმათთან ერთად მისდობის ყველა პროტესტის მცხოვრებლებიც თხოულობენ. ვაი იმას, ვინც უარს ჰუფის იმათ უფლებას—ის არის ნამდვილი მიზეზი ყველა ჩვენი უბედურებისა, უწესობისა და მისდობის მიერ ნიადაგ ქვეყნების დაკარგვისა. ევროპის საზოგადოების მისდობის მთავრობა იმე ჰუფის სწორედ წარმოდგენილი, როგორცდა წარმოდგენილი ჰუფის დაკომისიის შედეგ ნამდვილი ბეგანისი და მისი წინამოდელი კანის მკვლელები მეფეები. ამიტომ მისდობის იმტელიგენცია სულით და გულით თანაუგრძობს და უფლებსა იმ დანაშაულებს უწევს თავის უფლებებისათვის მუდმილ ქრისტიანის მისდობით; მისდობის იმტელიგენცია მისდობის მისდობა, რომ ეს ქრისტიანები მისდობის სახელისა და კეთილდღეობისათვის არიან წამებულნი, რადგანაც ის რეფორმები, რომლებსაც ისინი თხოულობენ ნამდვილად გაბუნებულნი მისდობისათ.

ზარბული «ნაუ-იორკ-ჰერალდის» სიტუაციით, ამერიკის პოლიტიკურ წრებში არც თუ ძალიან სწრაფად სხეულმყოფების გულწრფელობა მანჯურიის საქმეში; აქ არა სწავით, რომ ჩინეთის არეულ-დარეულობას მალე მოედის ბოლო. ერთი მცოდნე პირი ამ წინააღმდეგობას ჩინეთის საქმის ეხლანდელ მდგომარეობას:

თუმცა რუსეთმა იცის, რომ შეერთებული შტატები და სხვა სხეულმყოფები პროტესტს აცხადებენ რუსეთის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ის მაინც ძალას ატანს ჩინეთს, რომ ხელი მოაწეროს ამ ხელშეკრულებას; რუსეთმა მხოლოდ ცოტათი შესცვალა თავისი პოლიტიკა, რომ ამით აიცდინოს ჩინეთში წინააღმდეგობა. შეერთებული შტატების მთავრობამ მხოლოდ უხელოვანად იმოქილე ჩინეთის მთავრობაზე და ჩავიან, რომ არავის შეეძლოს ისეთი ტრაქტიკით, რომელიც ქვეყნების დაკარგვის გამოიწვევს. რამდენადაც ვიცით, ინგლისმა და გერმანიამაც მხოლოდ ის აზრი გამოთქვეს, რომ რუსეთ-ჩინეთის შეთანხმება არადგეოს იმ პირობებზე, რომლებიც ყველა სხეულმყოფებმა მიიღეს ჩინეთის უწესობის დაწვევის დროსაც; არც გერმანიამ, არც ინგლისმა მხარს არ აძლევდნ იმანისა. ამისთანა კარგიკებაში შეერთებული შტატებს არავის გარიგება არ შეუძლიან: ჩინეთის გულისათვის ის იმში ვერ გაეძვება. დედა კარებისა პოლიტიკის, სწორედ რომ ვითქვათ, მხოლოდ ამრეკა მისდებს. ინგლისი საკმაოდ ორტყვად იქცევა, გერმანიაც თავისი უხელო მითხოვნილი გერაფერ დახმარების უწევს ამ წინააღმდეგობისათ.

ინგლ. გაზ. «სტანდარდის» კონგრეს-მხარეტი მსხვილად იტყობიან:

«ზოგერთმა აქაურმა რეფორმების დასის ყვერმა მიიღო დეპუტა ჩინეთის უღმისკან ტოკიოში მისცე, რომ იმპერატორის სახლამ, რომელიც ამ ჟამად სინაზეში იმეფობს, ურადლებს მარქვის ხალხის პროტესტს წინააღმდეგ რუსეთ-ჩინეთის ხელშეკრულებისა მანჯურიის შესახებ და მიანდო თავის ქუჩებს ტოკიოში, დადნში და ვაშინგტონში სთხოვონ იმანისა, ინგლისის და შეერთებულ შტატებს, რათა მათ დახმარება გაუწიონ ჩინეთის მთავრობის მხარისგან რუსეთი წინააღმდეგ. მეორე მხრით, როგორც ამბობენ, ლინხინგმა დეპუტა მისწერა ჩინეთის ქუჩის ტოკიოში, ვითომ რუსეთი დიდის თავსაზნაობით პირობას იძლევა, რომ მანჯურიადან ჯარებს გაიყვანს იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი იმუქრება, რომ სამუდამოდ დაიჭერ მანჯურისათ. ჩინელი რეფორმატორების სიტუაციით, ვინც კარგი იუნდუ ამ ჟამად ბეჯითად ურჩევს იმპერატორს, რომ რუსეთის ხელშეკრულებას არ დასთანხმდეს, თუნდაც რომ ეს ხელშეკრულება შეცვლიდ იქმნეს, რადგანაც

ამ ხელშეკრულებას დამტკიცების წინააღმდეგ იყნებოდა.

წინააღმდეგობის ჩემოქმედება განდებუტატისა. ხალხის მიერ შედგენილი კომისიის ალფერედ მილნერისათვის, რომელიც მისდობისათვის გაიხსენებდა, ამის დასტანდარდა შემდეგს ამბობს:

ჩემოქმედების განცხადებამ დიდად ასობურების მიმხრე ლიბერალებს. ისინი ამბობენ, რომ მილნერი ძალიან აბრკვლებს ჩვენს ზვიის ჩამოკლებასა და ეცდებიან, რომ ლიბერალი დასხვინდ იქმნეს თავის თანამებანს; იმათი აზრით ეს უბეჯელოდ სწავლობს რომ ბურჟუაზიის ზვიე მოლაპარაკებამ რაიმე თანახმობა.

დონდონიდან იწერებიან: «ტაიმსი» მიტყვლილია სამხრეთ აფრიკიდან მიღებული სამხედრო ცნობისათვის ნება დართული დეპუტა. ამ დეპუტების სიტუაციით სამხედრო რისკები ელიან, რომ იმე რეფორმები იქნება შეტყვნილი გასტანისათ.

გერმ. გაზ. «ბერლინერ ტაგებლათ» სწერენ დონდონიდან 12 მარტის რიცხვი: «მთავრობის წრებში ბეჯითად ირწმუნებიან, რომ ზვიე მოლაპარაკებას ბურჟუაზიამ დაეხმობა სელმეორედ დაიწვებენ. ინგლისის მთავრობა ესეა უფრო კარგ და შედეგითან რომებს დაუღებს ბურჟუაზიას.

ზორტუვადილმა რესპუბლიკელებმა დეპუტატებს დასაბინის და მხარეობა შეუბრუნეს; ისინი სთხოვენ ზორტუვადილს თუ მოკრიბონ, რათა ამ თუდით გვირ იქნებონ ბურჟუაზიის მკომრებისათვის ვასცა ჰეგერგონს ზედ დაწვერება: «ზორტუვადილს მოქალაქეები—ტანსაცმლისა და მანქანების მიღებები.

ნიუიორკის გაზ. «ტაიმსი» ირწმუნებიან, რომ ვაშინგტონიდან მიღებული ცნობებით თანხმობა მანჯურიის შესახებ ჩინეთის მთავრობას უარზედონ. სრული საფუძველი გვაქვს იქნებოთ, რომ სხეულმყოფებს შორის მისდობა ზარბულია გამოდებული, იმის შესახებ, თუ ვინ დაუხმარებს რუსეთს ახალი შეთანხმების ჩამოკლება ჩინეთთან. ირწმუნებიან, რომ შეთანხმება ჩინეთმა ზოგერთი სხეულმყოფის ძალდატანებით უარზედოდა.

ახალი ამბავი

მკითხველებს ეხსომებოთ, რომ ზუგდილის მცხოვრებლებმა შუამდგომლობდნენ, რომ ზუგდილში შემოღებულ იქნა საქალაქო მმართველობა შემოკლებული წესით, თანახმად 1892 წლის საქალაქო მმართველობისა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ იტყობინებია, ყურადღება მამოკვირი იმ გარემოებისათვის, რომ უმეტესი ნიშნის ზუგდილის მიწებისა ეკლეთის უგანა თავადს მინგრელის და მხოლოდ ურისი ნაწილი შეადგენს კერძო მფლობელთა საკუთრებას. ამის გამო სამინისტრომ საჭიროდ დაინახა, თუ მინგრელის მხარე, უმაღლესი ნებართვა აიღოს იმ რომ თავი მინგრელის უფლება მისი უსასყიდლოდ გადასცეს ზუგდილს ქალსთვის საჭირო მიწები ქუჩებისა, მოედნებისა და სასაფლაოებისათვის და აგრეთვე ჩინეთის კერძო მფლობელთა წერილობითი პირობები, რომ ისინიც შესწირავენ მის ვალ ქალაქს მიწებს. ამასთანავე სამინისტრომ მიანდო ქუთაისის გუბერნატორს შეადგინოს გეგმა და ზუგდილისა და ზუგდილის საზღვრები მომავალ ქალაქსა და აზენოს, რომელი მიწა ვის ეკუთვნის ამ ჟამად და სხვა.

თანახმად მინისტრთა კომიტეტის დეკრეტებისა, რომელიც წარსული წლის 19 იანვრს დამტკიცებულ იქნა უმაღლესი სად, შინაგან საქმეთა მინისტრს მიემოქმედებო მსვლელობა მისცეს საქმის თუმის მხარის გუბერნატორს გადასცეს შესახებ. ადგილობრივ უმაღლეს მინისტრაციას უკვე შეუდგენია პროცედურა

ბათუმისა და ართვინის ოლქები გენერალ-საზღვაო გუბერნიას, ან ოლქს; გენერალი ან საოლქო ქალაქად იქნება. სამინისტროს უკვე წარედგინა ეს სტილი დასამტკიცებლად.

პეტერბურგიდან იტყობინებინ, რომ მოქმედების სამინისტროში არჩევენ მუშათა დაზღვევის პროექტს, რომე- შეიმუშავა ბაქოს ნავთის მწარმოებელ-ებამ.

გუშინ ტფილისის ქალაქის თავმა წა-გინა ტფილისის გუბერნატორს საბჭოს გენერალ-საზღვაო გუბერნიის შესახებ შელო ამ საქმის წარმოებას.

ქუთ. საგუბ. უწყებებში* დასტამბუ-ქუთ. გუბერნატორის ბრძანება იმის-ებ, რომ აღმი ისტრაციამ დახუროს კერძო კანტორები, სადაც თხოვნებს სასამართლო დაწესებულებებში წარ-ადლ სადაც საადვოკატო რჩევას აძლევენ. გუბერნატორის ბრძანებაში ნათქვა-რომ ამ კანტორებს ენება მოაქვთ მე-მთხოველთათვისა და საქირონიკ არიან, რადგანაც ქუთაისის საოლქო-ართლოსთან დაარსდა ვექილების ბიუ-სადაც ყოველგვარ დარიგებასა და რჩე-საწვდიან მსურველთაო.

ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმარ-გოს შეუდგენია ქუთაისის რკინის გზის-დაგის დ. საჩხერამდე გავრცელების-თარიღი. ხსენებულ სამმართველოს-ანგარიშებით, ეს საქმე უნდა დაჯდეს-1000 მანეთი.

გუშინ, 20 მარტს, დილის 5 საათზე,-ანტის“ სასტუმროს ერთს ნომერში-ავთ გვამი გასათხოვარ ქალის, ტფილი-გარდაცვლილი აწ უკვე გარდაცვა-გულის კონსტ. პლიუშევისკისა.

დღეს, 21 მარტს, ტფილისის სამოსა-ლო პალატაში განსახილველად დანი-ლია საქმე ბაქოს მდიდარ ნავთის მწა-ბელის ტუმავისა, რომელსაც ბრალად-ტფილისის ნაფიც ვექილის კარაბე-ს პირობის წერლის მოსპობა. ტუმა-ცავს პეტერბურგის სამოსამართლო-ტის ცნობილი ნაფიც ვექილი კარაბე-ისი.

ქუთაისის მაზრის, სოფ. ზეინდარის-გებმა თავ. ერისთავმა ამ ორის წლის-დ შეირთო ტფილისში ცოლი: რადგა-ცოლი დიდდგან ჯვრის წერისა მასთან-რებას არ დათანხმებულა, ერისთავს-რით მიუმართავს ტფილისის ოლქის-ართლოსათვის. ოლქის სასამართლოს-საქმე უნდა განეხილა ორშაბათს, 22-მარტს, მაგრამ საქმე გადასდო ერისთა-ველდის ვექილის სანდარიალის თხო-საქმის გარემოების გამოსარკვევად-ებმა დანიშნეს მოწმები.

გუშინ წინ, ტფილისის ოლქის სასა-ლომ განიხილა საქმე თელავის მაზრის,-შილდის მცხოვრების მიხელო იოსე-ის მიქილაშვილისა, რომელსაც შემ-ბრალო ედებოდა: წარსულ წელს 17-მათე ელტკოვს ტფილისში, პოლი-მე-8 ნაწილში, გაუყიდნია თივა და, 19-მარტ ელტკოვმა სასამართლოში გა-და, მას მიჰპარვია მიქილაშვილი, ჩა-ეს ხელი ჯიბეში და მოუგლეჯია. ჯი-ელტკოვს 5 მან. ჰქონებია. ელ-ის ყვირილზე მიქილაშვილს ხელი-ნია ყელში მისთვის და ისე გაუჩუმე-ელტკოვი კი ისე ჩასქიდე-ტანისამოსში მიქილაშვილს, რომ-სხვებსაც არ მოუწვრიათ და-უქერიათ, ხელი არ გაუშვია. მი-ვილი სასამართლოს პასუხის-გებაში-ათ, როგორც თავს დაცემით, ავაზა-დ ელტკოვის გამძარკველი. ოლქის-ართლომ დამნაშავედ იცნო მიქილაშვი-ლნიშულს ბრალდებაში და გარდაუწ-ყოველივე განსაკუთრებულ უფლება-ტესობათა ჩამორთმევა და პატიმართა-ორებელ რაზმში 4 წლის ვადით გაგ-

სოფ. აელევეში (გორის მაზრა) გაიხს-ნება ამ მოკლე ხანში სასოფლო ქსენონი-სოფლის საზოგადოების ხარჯზე.

ი. ფითოვემა სთხოვა ტფილისის ქა-ლაქის გამგეობას ნება მიეცეს მას გაიყვა-ნოს ელექტრონის მავთულები სახაზინო-თეატრის ცენტრალურ ელექტრონის სად-გურიდან თავის სადგომში, გო-ლოვინის-პროსპექტზე, დობუნისკის სახლში.

ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრი-შესტაკოვი შეუდგა ქალაქის დავალიანების-საქმის შესწავლას.

სადამოქნო უწყების ნება-რთვით მი-ეცა დამეტებითი ჯილდო პოლიციის მე-4-ნაწილის ბოქაულს დუშინისკის პოლიციელს-სტენიას ერევს კონტრაბანდი საქონლის-აღმოჩენისათვის სულ 500 მან. 130 მან. პირველს და 370 მან. მეორეს. კონტრა-ბანდის გაყიდვა დანიშნულია ხვალისათვის.

პოლიციამ მიაკცია ყურადღება იმ-გარემოებას, რომ ის პირები, რომელთაც-აღებული აქვთ ქალაქის სიბინძურეთა გა-ზიდვა, ჰყრიან მათ არა ქალაქისაგან დანი-შნულ ადგილას, არამედ სადაც მოხვდებო-ამიტომ პოლიციელებს ბრძანათ მეტი თვა-ლყური ადევნონ ამ საქმეს. ამასთანავე-ტფილისის პოლიციემისტერმა სთხოვა ქალა-ქის გამგეობას აღეკრძალოს თედორე ალი-ოლის ამ საქმის წარმოება, რადგან იგი-სამჯერ იყო შენიშნული ხსენებულ წესის-დარღვევაში.

ბირჟის მეეტლეთა საზოგადოებამ შე-ატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ მან-მეეტლეთა უსტაბაშად აირჩია რემეზოვი.

მტკვარში წყალმა ცოტა კიდევ მოი-მატა.

მეტად სამწუხარო ამბავი უნდა ვაუ-წყოთ მკითხველს; გუშინწინ ახალციხიდან-ჩამოსულა ტფილისში ახალციხის სამოქა-ლაქო სასწავლებლის მასწავლებელი ვასილ-იოსების ძე სტუცივილი, რომელიც „გრანდ-ოტელის“ სასტუმროში გაჩერებულა. სას-ტუმროში რაღაც ჯერ გამოურკვეველ მი-ზეზის გამო უეცრად გარდაცვილია.

ორშაბათს, 19 მარტს, საღამოს 10 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, მანთაშევის სახლს ბუნ-რიდან გაუფრთხილებლობის გამო გაუჩინდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლის მქობელ რაზმის ორის მოსამ-სახურის შემწეობით ჩააქრეს. სახლის პატრონს არა-ვითარი ზარალი არ მოსვლია.

პოლიციის მე-3 ნაწილში გამოცხადდა კავკა-სიის 1 სევერსკის ბატალიონის პოდპორუჩიკის-მეუღლე ნინო არსენის ასული ოსიპოვისა და ვანა-ცხადა, რომ 18 მარტს საკუთარ სახლის ბაღკონიდან-ვიდაც ბოროტ-განმზრახველ მიიპარეს ძვირფასი-ბეწვიანი ქურქი 200 მანეთად ღირებულო. ქურდო-ბაში არავისზე არა აქვთ ეჭვი. პოლიციამ ზომები-მიიღო ქურდის აღმოსაჩენად.

პარასკევს, 19 მარტს, მის უწმინდესობის სო-მეხთა კათალიკონისათვის, რომელიც ენიმიძინში-მიემზავრებოდა, შეუკეთეს დახურული ეტლი კოტ-რონის კანტორას. დანიშნულ დროს ეტლში ცხენები-შეაბეს, მაგრამ როგორც კი ქუჩაში გამოიყვანეს, ცხენები დაფრთხნენ და დიღის გაქირვებით გააჩერეს. ეტლი დაიშხვრა.

19 მარტს შერემეტევის ქუჩაზე, კარაპაევის-სახლში, სახურავზე გაჩნდა ცეცხლი, რომელიც მალე-ჩააქრეს. ზარალი ცოტაა.

ქალაქის საბჭო
19 მარტი.

ორშაბათს, 19 მარტს, საღამოს 9 სა-ათზე მოხდა ქალაქის საბჭოს მორიგი სხდო-მა, ქალაქის მოურავის ბ-ნ გ. ევანგულო-ლოვის თავმჯდომარეობით. სხდომას და-ესწრო 29 ხმონამდევ. ორი უმნიშვნელო-საქმის განხილვის შემდეგ საბჭოს წარე-დგინა განსახილველად ქალაქის გამგეობის-დადგენილება წელს კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენის გასამართავად სა-მეურნეო საზოგადოებისათვის შემწეობის-აღმოჩენის შესახებ; ამ ორი კვირის წინედ-ქალაქის გამგეობამ განიხილა შუამდგო-მლობა სამეურნეო საზოგადოებისა და მიიღო

რა სახეში, რომ 1889 წელს გამოფენისა-თვის ნასესხებ ფულიდან უკანვე ქალაქს-1800 მან. მეტი არ მიუღია, დაადგინა და-უბრუნებლად მიეცეს სამეურნეო საზოგა-დოებას ქალაქის საშუალებიდან 10,000 მანეთი. ამასთანავე გამგეობამ გადასწყვიტა-გამოფენაზე ქალაქის საკუთარი პავილიო-ნის გამართვა, რისთვისაც გადასდო 5,000 მან.; გამგეობის ეს დადგენილება გადაეცა-საფინანსო კომისიას; კომისიას თავის სხდო-მაზე მოუწვევია გამოფენის კომიტეტის-კამისარი თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი, რომლის განცხადებიდან ჩანს, რომ სა-ზოგადოებას გამოფენის გამართვა დაუჯდება-95,000 მან., ხოლო ჯერ-ჯერობით სხვა-და-სხვა დაწესებულებათაგან შემოსულა: მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან 4,000 მან., კავკასიის მთავარ მართებლისაგან 6000 მან., შავი ჭვის მრეწველთა საბჭოსაგან 1000 მან., ქ. ბაქოსაგან 3,000 მანეთი., კავკასიის ქალაქებიდან 5,000 მანეთი და-სხვა—სულ 24 ათას მანეთამდე. ამის და-მიხედვით საფინანსო კომისიის საქიროდ-უცენია გადადოს ქალაქის საშუალებიდან 10,000 მან. ნაცვლად—15,000 მან. გადა-უხდევებლად და 5,000 მან. საკუთარ პა-ვილიონის მოსაწყობად. ამასთანავე საფი-ნანსო კომისიამ გამოსთქვა სურვილი, რომ-ესლავე იქნას ამორჩეული განსაკუთრებუ-ლი კომისია, რომელსაც უნდა მიენდოს-ქალაქის პავილიონის გამოფენაზედ მოწყო-ბის საქმე. განსაკუთრებული აზრი გამო-უთქვამს საფინანსო კომისიის ორს წევრს, რომელთა აზრი იყო—10,000 მან. მისცემო-და სამეურნეო საზოგადოებას გარდაუხდევ-ნებლად, ხოლო 5,000 სესხად.

გამგ. წ. თავ. გ. ჩერქეზიშვილი. როდესაც-გამგეობამ გადასწყვიტა დახმარებოდა სამე-ურნეო საზოგადოებას მხოლოდ 10,000 მანეთით, სახეში ჰქონდა ის გარემოება, რომ-სხვა დაწესებულებათაგან მეტს დახმარებას-მოელოდა საზოგადოება, მაგრამ რადგანაც-მხოლოდინი არ გამართლდა, მაგ., მიწად-მოქმედების სამინისტრომ ამ საქმისათვის-მხოლოდ 4,000 მანეთი გადასდო და ამით-გარემოება საქმისა სრულიად შეიცვალა, მე-სრულიად ვეთანხმები საფინანსო კომი-სიის აზრს გადადოს ამ საქმისათვის უკანვე-მოუთხოვენოდ 15,000 მან.

მ. ს. ს. პაპოვი. თავ. ჩერქეზიშვილის-მიერ აღნიშნულ გარემოების გარდა საფი-ნანსო კომისიის ისიც ჰქონდა სახეში, რომ-ტფილისის სამეურნეო-სამრეწველო გამო-ფენას დიდის ეკონომიური მნიშვნელობა-ექნება ქალაქისათვის. ამას გარდა 15,000-დანხმარებით ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ქა-ლაქი ყოველთვის მზადაა უხვი შემწეობა-აღმოუჩინოს ყოველ ასეთი კეთილი აზრის-განხორციელებას, როგორც განზრახული-გამოფენის გამართვაა წელს ქ. ტფილისში.

მ. კოუჩარინი. მე წინააღმდეგი ვარ სა-ფინანსო კომისიის წინადადებისა და რომ-რეტროგრადი არ მიწოდონ, ჩემს აზრს ვა-სახუთებ: ჩვენ იმდენათ ღარიბნი ვართ, რომ-ქუჩების მოსაკრწლავი საშუალებ-ბა არ გავაჩინა, რომ შეგვეძლოს გამოფე-ნის ადგილამდე მივიდეთ, და საფინანსო კო-მისია კი ასე ხელ გაშლილად აპირებს სამე-ურნეო საზოგადოების შემწეობას. 1889 წელს გამართულს გამოფენას მაგდენი არა-ფერი ნაყოფი და სარგებლობა მოუტია, და-ასე მგონია ეხლაც. სამეურნეო საზოგადოე-ბა, ვიდრე გამოფენის გამართვას გადასწყვე-ტდა, უნდა საშუალება გამოენახა ჯერ.

მ. ქაჯანთარი. საფინანსო კომისიამ კარ-გად შეხედა ამ საგანს. სამეურნეო საზოგა-დოება საქმის მხოლოდ ინიციატორია, ხო-ლო რაც შეეხება მის მოწყობა-გამართვის-საქმეს, ჩვენ მას ისე უნდა შევხედოთ, რო-გორც საკუთარს საქმეს. ამიტომ მე სრუ-ლიად ვეთანხმები კომისიის წინადადებას.

მ. თავ. ა. შ. ანდუთისკი-დოფგორუკოვი. მე წინააღმდეგი ვარ მ. კიუჩარინისა, რომელიც მეტად ამცირებს გამოფენის მნი-შვნელობას. თუმცა გამოფენას ხელ-ჩასაკი-

დებელი და საგრძობელი ნაყოფი ბევრი-არა მოაქვს-რა, მაგრამ რა თქმა უნდა, რომ-მას დიდი მნიშვნელობა აქვს სასოფლო-ხალხის მრავალ-მხრით დაწინაურების საქმე-ში. თუ რამდენად დიდს მნიშვნელობას მი-ლევენ განათლებული ერები ასეთს გამო-ფენებს, ისიც ამტკიცებს, რომ არამც თუ 10,000 მანეთს, არამედ 10 მილიონსა და-მეტსაც ხარჯავენ ხოლმე ასეთ საქმეზე. ამი-ტომ მე თანახმა ვარ თავ. ჩერქეზიშვილის-მიერ გამოთქმულის აზრისა და საფინანსო-კომისიის წინადადებისა, მით უმეტეს, რომ-სამეურნეო საზოგადოება ერთად-ერთი და-წესებულბაა, რომელიც ასეთს შუამდგომ-ლობასთან ერთად ჩვენს რჩევასაც კითხუ-ლობს და გამოფენის გასამართავად ჩვენგან-წარმ-მადგენლებსაც ითხოვს და სხვა.

გამგ. წევრი სოსროკოვი წინააღმდეგია, რომ-ამ საქმისათვის 10,000 მან. მეტი გა-დაიდვის.

საბჭომ ქალაქის მოურავის წინადადებაზე-ხმის უმეტესობით დაადგინა, თანახმად ქა-ლაქის გამგეობის გარდაწყვეტილებისა, გა-დაიდოს 10,000 მანეთი გადაუხდევინებლად-და 5,000 მანეთი საკუთარს პავილიონის-გასამართავად. საბჭომ აგრეთვე ამოიჩნია 7-კაცი პავილიონის საქმის მოსაწყობად. კო-მისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ ი. ს. და ი. ა. ალიხანოვები, ა. ს. ბაბოვი, ლ. ფ. ვილფელი და ი. ა. თაიროვი, რომელ-თან ერთან მონაწილეობას მიიღებენ აგრე-თვე წინააღმდეგ ამორჩეული ქალაქის ორი წარ-მომადგენელი გამოფენის მომწყობ კომიტე-ტში—ბ-ნნი ოსტროგორსკი და კ. მ. ალი-ხანოვი. საბჭოს სხდომა დამის 11 საა-თზედ დასრულდა.

სტუმნებლის დახმარების საქმის-გამო*

ყოველივე საზოგადო საქმეში ჩვენ, ქარ-თველობას, გვემჩნევა სისუსტე, გულ-გრი-ლობა, მაგრამ ჩვენებური ახალგაზდობის-დახმარების საქმეში ხომ ჩვენი საზოგადოე-ბა მეტის-მეტ სასტიკობა-გულ-ქვაობას იჩენს: თუ ოდესმე ჩვენებურმა კაცმა მკირედი, უმნიშვნელო წვლილი გამოიღო რომელიმე-ახალგაზდის დასახმარებლად, ამ შემთხვევას-არას დროს არ დაივიწყებს; ყოველგან, ყო-ველივე გარემოებაში გაიხსენებს ასეთ ვი-თომდა გულუხვობას, შეწირულობას; ხში-რად ასეთი ჩვენებური საზოგადოების ხასი-ათი უხერხულ მდგომარეობაში აყენებს იმ-ახალგაზდს, რომელიც იძულებული იყო-მიეღო ჩვენი საზოგადოების წევრებისაგან-მკირედი შემწეობა: რაც უნდა შეუმჩნევე-ლი, თავის თავად უმნიშვნელო შეცდომა-ჩაიღინოს ამისთანა ემწვილმა, საზოგადოე-ბა მას მიიწვას სასტიკად ეპყრობა და არა-სტოვებს შემთხვევას დაყვედროს: „დახეთ, ჩვენი ფინჩით გაზრდილია და როგორ მე-ტრჩარობსო“. თუ რომელიმე ექიმს ან ვე-ქილს ჩვენებურს სხვა და სხვა პირადი მო-სახრებათა გამო რამე შეცდომა მოუვიდა: დროზე მთხოველისადმი მომეტებული თა-ნავრძნობა ვერ გამოიჩინა, უმკველად ყვე-ლა, ვინც კი დასწრებია ერთ გახართობ-წარმოდგენას მაგისთანა ახალგაზდის სასარ-გებლოდ გაწყობილს, ალევებით, გაბუტუ-ლად ჯავრობას დაიწყებს: „მოდი და ამის-შემდეგ დახმარება აღმოუჩინე ჩვენებურ-ახალგაზდასო“. ყველა ასეთი შემთხვევა-თანდათან გაზვიადებულ წარმოდგენა-მოსა-ზრებას ავრცელებინებს ჩვენი საზოგადოე-ბის წევრთ ხალხში ჩვენ ახალგაზდობაზე: ვინც ვავზარდეთ, ყველა მანებელი დარ-ჩაო. მართლაც, საუბედუროდ ჩვენდა, ერ-თი-ორი შემთხვევა შესამჩნევი და სამ-

* ვებქვადთ ბ. ნასტუდენტარის აზრს ამ საყურა-დებო საგნის შესახებ, თუმცა არ ვეთანხმებით-ზოგიერთ მის მოსაზრებათ. ჩვენის აზრით, ეს საქმე-ისე უნდა მოწყობილდეს, როგორც ამას წინად გადა-წყდა ერთ კერძო კრებაზე, რომლის დადგენილება-ჩვენ კიდევ ვაცნობთ მკითხველთ თავის დროზე.

წუხარო ღარჩა: საზოგადოების ხარჯით, ხალხის ენით რომ ვსტყვით, „ფინჩით“ აღზრდილი კაცი, მიწვეული, ქვეყნის შემაწვებელი ღარჩა; მაგრამ ეს ხომ კანონი არ არის, ერთი მიხინჯი რომელ ოჯახში არ შეგხვდებათ. რომ გამოვიკვლიოთ მიზეზი ასეთი კაცების საზოგადოებისაგან გაქცევა-გაღმოსვლისა და აღმინის პსიხოლოგიით ვინმე მძღვანელოთ, იმ აზრს დავადებთ, რომ თვით ჩვენებური საზოგადოების ხასიათი-ჩვეულებაა მიზეზი ამ კაცების დამახინჯების, დაღუპვისა; რაც უნდა გააკეთონ მაგისტანა კაცებმა, საზოგადოება არ უმადლის, მაინც მეტს თხოვლობს მათგან; ასეთი კაცი ყოველთვის ავადმყოფური თავ-მოყვარეა; ხშირად შორს უჭირავს თავი იმ საზოგადოების წევრებისაგან, რომლებმაც შემწეობა აღმოუჩინა—რომ ვინმემ მოვალეობის ასრულება არ გამახსენოს, არ მომთხოვოს; ამნაირი გარემოება რაღაც მრისხანე, უკმაყოფილო ხასიათს ათვისებს ასეთ კაცებს. რომ წარმოვიდგინოთ ასეთ ხასიათს ჩვენი საზოგადოებისას, უნდა გვებრალებოდეს ყველა ის ყმაწვილი, რომელიც იძულებულია პირდაპირ ამ ჩვენი საზოგადოების წარმომადგენლებთან მოიქცეს შემწეობის თხოვნით; ხშირად შეგხვდებათ ამ უკანასკნელ ხანებში, რომ თვით ახალგაზრდები დატარებენ ქალაქის მათთვის შემწეობის აღმოსაჩენად ხელის მოსაწვრად. შეიძლება უმეტეს შემთხვევაში არავინ არ გააწვილოს ასეთი ახალგაზრდა, მაგრამ რაკი ვიცით ჩვეულება ჩვენი საზოგადოების, უნდა ვერიდებოდეთ ასეთ საშუალებას; ამ მიზნით თვით-ამხანაგობა, სტუდენტობა არის ზნეობრივად ვალდებული თითონ აილოს ინიციატივა თავიანთ ხელ-მოკლე, ღარიბი ამხანაგის დასახმარებელი თანხის გასაძლიერებლად. თვითთულ უნივერსიტეტიდან ეხლა სხვა და სხვა ჩვენი კუთხის ქალაქ-დაბებში გაფართულია 100—200 სწავლა დამთავრებული, საქმეში ჩამდგარი ნასტუდენტარი, რომელსაც არას დროს არ დაავიწყდება თავის ახალ-გაზრდობის სიმბატური დაწესებულება; ყველა ასეთი ჩვენებური კაცი სიამოვნებით გადინდის პერიოდულად, ყოველ წლიც, მცირე წვლილს თავის გამზღელი უნივერსიტეტის (alta mater-ის) ახალგაზრდა თანამემამულეების დასახმარებლად; მართა ოდესის უნივერსიტეტს შეუძლია ასეთი საშუალებით, ძველი ამხანაგების თანაგრძობით ათას, ორი ათას მანეთამდე შეკრიბოს წელიწადში; პირადი დახმარების გარდა წვლილის შემოტანით, სხვანაირადც ბევრი დახმარება-შემწეობა შეუძლია ყველა ნასტუდენტარ ჩვენებურს მისი უნივერსიტეტის საამხანაგო თანხას აღმოუჩინოს. ვიმეორებთ, საქირთა თვით სტუდენტების ამხანაგობის მეთაურობა ამ საქმეში; ისინი ვალდებულნი არიან თვით გაუწიონ პატრონობა თავიანთ ღარიბ ამხანაგებს და არც ერთი მათგანი არ ჩააყენოს იმ გარემოებაში, რომლითაც მისი ახალ-გაზრდური თავმოყვარეობა ილახება-ითელება. სტუდენტების საამხანაგო თანხაში უნდა გაიგზავნოს ყველა ის კერძო შემოწირულებანი, რომლებიც იკრიბება ჩვენში ღარიბ სტუდენტების დასახმარებლად; სასურველია, რომ არც ერთი სტუდენტი თვითონ არ ითხოვდეს შემწეობას და თუ ასეთი შემთხვევა იქნა და ფული შეიკრიბა კერძო სტუდენტის სასარგებლოდ, ის ფული უსათუოდ საამხანაგო საღარიბოში უნდა გაიგზავნოს იმ უნივერსიტეტში, სიდაც ის სტუდენტი სწავლობს. ამას გარდა ყველა კერძო პირებისაგან დაარსებული სტიპენდიები სტუდენტებისა ამხანაგობას უნდა გადაეცეს, რომ იმათ თვით ამოიჩინონ ღირსი და შესაფერა წევრი. ისენი უფრო მართლად განსჯიან, ვის ერგება სტიპენდია, ვინმე ჩვენ; ჩვენ ძალა-უნებურად მოყვრობანაცნობობა-პროტექციით უნდა ვინმე მძღვანელოთ; იქ კი ამხანაგები ნამდვილ საქირთებს მიაქცევენ ყურადღებას. ჩემის

აზრით, უკვე არსებული „ირაკლის ფონდი“ უცხოეთში სწავლის შექმნის მსურველებიც ახალ-გაზრდობის არჩევით უნდა იგზავნებოდეს; ვინც სინიდიისერად, მუყაითად სწავლობს და ადგია სასურველ გზას, ამხანაგობამ უფრო იცის; ამიტომ ჩვენ ყოველთვის, როცა განთავისუფლდება ეს თანხა, უნდა შევეკითხოთ ყველა უნივერსიტეტში მოსწავლე ჩვენებურ მოსწავლეთა ამხანაგობას, რომ იმათ დაასახელონ ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც ღირდათ ეპირება სწავლის გაგრძობა-დამთავრება. ეს წესი უფრო ნამდვილად მოგვანაზრებინებს ჩვენგან შეკრებილ მცირედ თანხას.

ნასტუდენტარი

პროპონცია

ბაძო. ამას წინეთ კრება ჰქონდათ აქაურ ქართველ ინტელიგენტებს და მოილაპარაკეს განსვენებული ჩვენი პეტრის რ. ერისთავის სახელზე დაარსებულ ფონდისთვის ფულების შეკრების შესახებ. პირველად წავითესეს ამ კრებაზე გამგეობა ანგარიში ქართული სადაზმოს შემოსავალ-გასავალისა, რომელიც ქართველმა შირის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ იყო აქ გამართული. ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ ორას თუმანზე მეტი ხარჯი მოსვლადით სადაზმოს გამგეთ; შემოსავალი ოთხას თუმანადის უფთავა. დარჩენილ ფულიდან ნაწილი მიეცათ აქაური გიმნაზიის ქართველ დარბ მწაფეებს სწავლის ფულის გადასახდელათ; რადენიმე კადიდა აქაური უფთავ საშუალებადს ვადის მოსახმობად. დანარჩენი ის რაზმადისათ თუმანადის გუგზავნა სხვენებულ საზოგადოების თავმჯდომარეს.

შემდეგ ამას კრებამ მოილაპარაკა აქაურ ქართულ საშუალებადს შესახებ. კარგა ხნის ბასის შემდეგ კრებამ გადასწავლა გადაეცეს უველა წიგნები უფთავი საშუალებადს იმ მანდილასანს, რომელიც თავის ნებით ჰქონდა დასაწავს ამ საქმის ხელმძღვანელობას და ამასთანავე აღმოუჩინოს მას შემწეობა ორმოცი თუმანით წელიწადში. იმავე მანდილასანის თხოვნითა და მეტადინებოთ ბაქო თვით-მმართველობამ გადასდო ამ საშუალებადსთვის სამოცი თუმანი. ამიტომ უკვე არ არის, საშუალებადს მალე გამართება და კარგად წავა მისი საქმე. დასასრულ, გამართა ხელის მოწერა ზემოდა მოხსენიებული ფონდის სასარგებლოდ. ვინც კი კრებას დაესწრო, უველამ მოაწერა ხელი. დღემდის ხელის მოწერით შეკრებილია ოც თუმანადის, მაგრამ ხელის მოწერა უკრედ არ გათავებულა და, იმედია, ერთი ორად მეტი შეკრეოდება ფული.

წე-ბელი

სალამოს დებეშები

20 მარტი

პატარაპურბი. დინიშენ: მე-3 ვარდის ქვეითა ჯარის დივიზიის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ვეისი—მე-15 ქვეითა ჯარის კორპუსის უფროსად. კასპიის იქითა მხრის მე-2 თურქესტანის ქვეითა ჯარის კორპუსის უფროსი გენერალ-ლეიტენანტი ბოგოლიუბოვი—მე-5 ქვეითა ჯარის კორპუსის უფროსად.

ბაზოვი. ყინული და თოვლი სრულიათ დადნა; გზები გაიხსნა; მდ. ცნა ნაპირებიდან გადავიდა.

შაჰანი. მდ. ყაზანკაზე, ქალაქთან, ყინული დაიძრა; ვოლგა აღიდა.

შანაძი. ხმა არის, რომ ჩინეთის მთავრობა გარეშე საქმეთა მინისტრალ ნიშნავს პრიცსას და მის ამხანაგად პრინც ცინს.

ბელგრადი. სერბიის კონსტიტუცია იცვლება და ამიტომ საქირთა შეიქმნა მინისტრ პრეზიდენტის გამოცლა, რადგანაც ეხლანდელ მინისტრ პრეზიდენტს, როგორც მოხელეს, არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან დამოკიდებულება არა აქვს.

რედატორი გამომცემელი
ა. ჯეფანა. ა. ჯაბაძანი.

გაემოსაღები მშობანი

პეტერბურგის ბირჟა 16 მარტს.

გვესელის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 ვირგ. სტ.—ში	93,65
ბერლინზე 100 მარკაში	45,85
პარიზზე 100 ფრანკში	37,30
ლონდონზე ჩეკები	94,60
ბერლინზე	46,30
პარიზზე	37,57 1/2
ბირჟის დისკონტი	5 3/4, — 7 1/2 0/0

მყიდვ. გამყ. გაყიდ.

40/0 სახელმწიფო რენტა	— 96 1/8
4 1/2 0/0 შინაგანი სესხა 1893 წ.	— 100 3/8
40/0 გირავენ. ფურც. სახელ. სა- აღგ. მამ. ბანკისა	— 96 —
50/0 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	— 345
50/0 მეორე შინაგ. სესხის მომ- გებ. ბილ. 1866 წ.	— 287
50/0 გირავენ. მომგ. ფურც. სა- ხელმ. სააღგ.-მამ. ბანკისა	— 221 1/2
3 1/2 0/0 გირავენ. ფურ. იმავე ბან- კისა	89 —
ტფილ. სააღგ.-მამ. ბანკის 50/0 გირავენ. ფურცლ	— 93 1/2 —
4 1/2 0/0 გირავენობ. ფურც. იმავე ბანკისა	86 1/2 —
ქთ. სააღგ.-მამ. ბანკის 60/0 გირ. ფურცლ	— — —
50/0 გირავენ. ფურც. იმავე ბანკისა	93 —
50/0 ობლიგაციები ტფ. საკუ- ღიტო საზოგ.	— 93 1/2 —
4 1/2 0/0 ობლიგაც. იმავე საზოგ- დობისა	— 84 1/8

ვიმოსვლა რიგის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირში ერთხელ—ოთხშაბათობით დიდის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), აქაში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დიდის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.)

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის დამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.). ტფილისში ჩამდის საშუაღდევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმიში გადის საღამოს 6 საათ 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმიში ჩადის დიდის 7 ს. 10 წ. (8 ს. 8 წ.).

მგზავროს მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის საშუაღდევის 3 ს. 5 წ. (4 ს. 3 წ.), ტფილისში ჩამდის დიდის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმიში გადის დიდის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმიში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავროს მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დიდის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუაღდის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დიდის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუაღდის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დიდის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

საავადმყოფოები:

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი სკერთა ოთახში—12 მან. თვ., ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაზ., დარბითა-თვის რჩევა და წამლებაც უფასოა. სამკურნალო გამგეობაში გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალო განყოფილება: ზღაპრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტოვისა. გამგეობაში მირაქოვი.

კუკია: ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მეღქუმოვისა, ექიმი ნ. კასუოვი.

ხარკუნისა კორანტოვის ქუჩა, სახლი ივლიანოვისა, ექიმი ტერ-ასატოროვი.

თვალის სამკურნალო. ქალაქის სახლი ჩიხარაისა, ავადმყოფთა უფროსი გენ რჩევის, გამგეობაში გ. ტარსაიძე.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაზ., დარბითა-თვის რჩევა და წამლებაც უფასოა. სამკურნალო გამგეობაში გ. თარხანოვი.

სიფილისით ავადმყოფ ქალათვის სა-
მყოფო მყოფობა ავადმყოფი, პეტრე-
კველისათან. 25 ადგილი უფასოა, 15 ად-
— ფასიანი. თვეში დირს 12 მან. ექიმი
მანოვი.

გადამკებ სენით ავადმყოფთათვის უ-
საავადმყოფო. გამგეობაში გუგულისა.
ქალაქის უფასო დამე თავ-შესაფარი სახლე-
1) კორანტოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი,
ლი მეღქუმოვისა.
2) დიდუბოში, სახლი კალდოისისა.

ბანსალეზანი
ტფილისის
ქალაქის გამგეობა

ამით აღხადებს, რომ მის თანადსწრე
23 მარტს 1901 წ., შუაღდის 1 სა-
— დანიშნულია საჯარო

პატრონა

რომლითაც გაიცემა იჯარით წ-
საღვნი მილი პეტრონისა გოგოლის ქუჩა-
ტრეხაროვის სახლიდან არსებულ მილ-
ვოკანლის ქუჩაზედ—სიგრძით 82,00
ღირებული 1200 მან.

ვისაც მსურს ვაქრობაში მონაწილ-
ბა მიიღოს, შეუძლიან განიხილოს დაწ-
ლებითი პირობები გამგეობის მესამე
ყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უკ-
გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუაღდ-
3 საათამდე. (6. 3.)

თ. რ. პრისტავის

I ტომი

ფასი სამი ანაზა.

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კო-
ში, ლორის მედიკოვის ქუჩ., ქვაშ-
ეკლესიის პირდაპირ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузин
Издательское Товарищество.

Годъ X

ВЪ ГОРОДѢ КАРСѢ
КАРСКОЙ ОБЛАСТИ
ОТКРЫТА ПОДПИСК
НА ГАЗЕТУ
„КАРСЪ“
на настоящій 1901 годъ.

Газета „Карсъ“ въ 1901 году будетъ
ваться на тѣхъ-же основаніяхъ, какъ
минувшемъ году и по той-же програм-
УСЛОВІЯ ПОДПИСКИ:
съ доставкою и пересилкою 3 руб. въ годъ
Подписка принимается въ редакціи
газеты „Карсъ“ въ городѣ Карсѣ, куда
сують свои требованія и иногородныя

Газета „Карсъ“ имѣетъ ближайшею
всестороннее изученіе Карсской Облас-
распространеніе въ обществѣ вѣрныхъ
ныхъ свѣдѣній, какъ о нынѣшнемъ ея
яніи, такъ и о мѣропріятіяхъ, направле-
къ ея благоустройству. (3—